

ტესტი დაწყებითი საფეხურის მასწავლებელთათვის მათემატიკა

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ტესტი ორი ნაწილისგან შედგება - საგნობრივი ცოდნა და აკადემიური უნარები.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 53.

ტესტში წარმოდგენილი დავალებები, ფორმატის თვალსაზრისით, სხვადასხვაგვარია. ყურადღებით წაიკითხეთ თითოეული დავალების ინსტრუქცია, კარგად გაიაზრეთ, რა მოგეთხოვებათ დავალების შესრულებისას და შემდეგ აირჩიეთ ან დაწერეთ პასუხი.

გაითვალისწინეთ:

- თუ სწორ პასუხთან ერთად არასწორ პასუხსაც მიუთითებთ, ქულას ვერ მოიპოვებთ.

ტესტზე სამუშაოდ გეძლევათ 4 საათი.

გისურვებთ წარმატებას!



საგნობრივი ცოდნა

(1) **1.** ერთი ცალი ასანთის ღერის სიგრძეა 4-4,5 სმ. ჩამოთვლილთაგან რომლის ტოლი შეიძლება იყოს იმ ტეხილის სიგრძე, რომელიც 3 მილიონი ისეთი მონაკვეთისგან შედგება, რომელთაგან თითოეულის სიგრძე ასანთის ღერის სიგრძის ტოლია?

ა) 118 კმ-ის;

ბ) 127 კმ-ის;

გ) 136 კმ-ის;

დ) 145 კმ-ის.

(1) 2. ტოლდანაყოფებიან რიცხვით ღერძზე მონიშნული A , B და C წერტილებიდან A და B -ს კოორდინატები ნახაზზეა მითითებული. რის ტოლია C წერტილის კოორდინატი?



ა) $\frac{2a+b}{3}$

ბ) $\frac{a+2b}{3}$

გ) $\frac{b-a}{3}$

დ) $\frac{b+a}{3}$

(1) **3.** ჩამოთვლილთაგან რომელი წინადადებაა მართებული ნებისმიერი ისეთი სამკუთხედისთვის, რომლის სამივე წვეროს მოცემულ წრეწირზე მდებარეობს?

მოცემული წრეწირის დიამეტრზე ნაკლები:

- ა) სამკუთხედის მხოლოდ რომელიმე ერთი გვერდია;
- ბ) სამკუთხედის რომელიმე ორი გვერდია;
- გ) სამკუთხედის სამივე გვერდია;
- დ) არაა სამკუთხედის არც ერთი გვერდი.

(1) 4. x, y, z და t ერთმანეთისგან განსხვავებული ისეთი ნატურალური რიცხვებია, რომ $x = \frac{z}{y}$ და $t = \frac{x}{2}$.
ამ რიცხვებიდან რომელი იყოფა უნაშთოდ დანარჩენ სამზე?


ა) x

ბ) y

გ) z

დ) t

(1) 5. წრიულ დიაგრამაზე წარმოდგენილია ერთ-ერთი ქალაქის მოსახლეობის განაწილება ეროვნებათა მიხედვით. ქალაქში ბერძენი ეროვნების მოსახლეობის რაოდენობა 72 ათასის ტოლია, ხოლო თურქი ეროვნების მოსახლეობის რაოდენობა 1,5-ჯერ მეტია ბერძენი ეროვნების მოსახლეობის რაოდენობაზე. სულ რამდენი მოსახლეა ქალაქში?



- ა) 360 ათასი;
- ბ) 400 ათასი;
- გ) 480 ათასი;
- დ) 600 ათასი.

(1) 6. ნატურალურ რიცხვთა მიმდევრობის შესახებ ცნობილია, რომ:

- თუ მიმდევრობის რომელიმე წევრი 12-ის ჯერადია, მაშინ მისი მომდევნო წევრიც 12-ის ჯერადია.
- მიმდევრობის პირველი 10 წევრიდან მხოლოდ 4 წევრია 12-ის ჯერადი.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია შეუძლებელი:

ა) ამ მიმდევრობის მერვე წევრი 18-ის ჯერადია;

ბ) ამ მიმდევრობის მეცხრე წევრი 18-ის ჯერადია;

გ) ამ მიმდევრობის მესამე წევრი არ არის 12-ის ჯერადი;

დ) ამ მიმდევრობის მეშვიდე წევრი არ არის 12-ის ჯერადი.

(1) 7. კლასში, რომელშიც ელენე სწავლობს, ყველა მოსწავლე სხვადასხვა სიმაღლისაა. ამ კლასის 15 ყველაზე დაბალი მოსწავლიდან ელენეზე მაღალი მხოლოდ 3 მოსწავლეა, ხოლო 10 ყველაზე მაღალი მოსწავლიდან ელენეზე დაბალი მხოლოდ 1 მოსწავლეა. სულ რამდენი მოსწავლეა ელენეს კლასში?

- ა) 20
- ბ) 22
- გ) 24
- დ) 26

(1) **8.** პარალელოგრამის ერთ-ერთი კუთხის სიდიდეა 89° . ჩამოთვლილთაგან რომლის ტოლი არ შეიძლება იყოს ამ პარალელოგრამის რომელიმე სამი კუთხის სიდიდეთა ჯამისა და რომელიმე ორი კუთხის სიდიდეთა ჯამის სხვაობის მნიშვნელობა?

ა) 85° -ის;

ბ) 87° -ის;

გ) 89° -ის;

დ) 91° -ის.

(1) 9. თედო პაპამ პირველ დღეს თავისი ნაკვეთის მესამედი ნაწილი დაბარა. ნაკვეთის დარჩენილი ნაწილის მერამდენედი ნაწილი უნდა დაბაროს თედო პაპამ მეორე დღეს, რომ ამ ორი დღის მუშაობის შედეგად ნაკვეთის ნახევარი იყოს დაბარული?


- ა) მეექვსედი;
- ბ) მეხუთედი;
- გ) მეოთხედი;
- დ) მესამედი.

(1) **10.** მანძილი ვენეციიდან რომამდე სარკინიგზო გზით 522 კმ-ია. რომიდან ვენეციის მიმართულებით 14:30 სთ-ზე გავიდა სატვირთო მატარებელი, რომელიც მუდმივი 60 კმ/სთ სიჩქარით მოძრაობდა. 6 საათის შემდეგ მას შემოხვდა შემხვედრი მიმართულებით მუდმივი სიჩქარით მომავალი სამგზავრო მატარებელი, რომელიც ვენეციიდან 18:15 სთ-ზე გამოვიდა. რამდენით მეტია სამგზავრო მატარებლის სიჩქარე სატვირთო მატარებლის სიჩქარეზე?

- ა) 10 კმ/სთ-ით;
- ბ) 12 კმ/სთ-ით;
- გ) 14 კმ/სთ-ით;
- დ) 16 კმ/სთ-ით.

მონაცემთა ანალიზი

აგვისტოში საკონსერვო ქარხანა სხვადასხვა ხილს სხვადასხვა ფასად იბარებდა. დიაგრამაზე მრუდებით შემოსაზღვრულია არეები, რომლებიც გვიჩვენებს, თუ რომელ ხილს იბარებდა საკონსერვო ქარხანა აგვისტოში და რა ფარგლებში მერყეობდა ჩაბარებისას კილოგრამი ხილის ფასი დღის განმავლობაში. მაგალითად, დიაგრამიდან ჩანს, რომ 14 აგვისტოს ჩაბარებული მსხლის ფასი 1,2-1,5 ლარის ფარგლებში მერყეობდა.



მომდევნო ორ შეკითხვას უპასუხეთ ამ დიაგრამის მიხედვით.

შეკითხვებზე გადასვლა: [11](#) [12](#)

(1) 11. აგვისტოში სულ რამდენი დღე იყო ისეთი, რომლის განმავლობაშიც საკონსერვო ქარხანა სამი დასახელების ხილს იზარებდა?

ა) 1

ბ) 3

გ) 5

დ) 7

[დიაგრამის ნახვა](#)

(1) **12.** ფერმერმა აგვისტოს ერთ-ერთ დღეს საკონსერვო ქარხანაში 200 კგ ვაშლი და 200 კგ მსხალი ჩააბარა, რისთვისაც მას ქარხანამ სულ 560 ლარი გადაუხადა. რომელ დღეს ჩაუბარებია ფერმერს ხილი?

- ა) 8 აგვისტოს;
- ბ) 9 აგვისტოს;
- გ) 10 აგვისტოს;
- დ) 11 აგვისტოს.

[დიაგრამის ნახვა](#)

(1) **13.** მართკუთხა საკოორდინატო სისტემაში მოცემული ABC ტოლფერდა სამკუთხედის AC ფუძე y -ღერძის პარალელურია. A წვეროს კოორდინატებია $(-2; 1)$, ხოლო B წვეროსი $(4; 3)$. რის ტოლია ამ სამკუთხედის ფუძის შესაბამისი სიმაღლის შეფარდება ფუძის სიგრძესთან?

ა) 1,5-ის;

ბ) 2-ის;

გ) 2,5-ის;

დ) 3-ის.

(1) 14. m და n ისეთი ნატურალური რიცხვებია, რომ $\frac{n-1}{n} < \frac{m-1}{m}$. ქვემოთ ჩამოთვლილ მიმართებათაგან რომელია შეუძლებელი?

ა) $m > n$

ბ) $n = \frac{m}{3}$

გ) $m = 2n$

დ) $n > m$

(1) **15.** ცნობილია, რომ:

I. ანა ზაფხულში დაისვენებს მთაში ან ზღვაზე.

II. თუ ანა ზაფხულში დაისვენებს მთაში, მაშინ ის დაისვენებს ზღვაზეც.

რომელი დასკვნა გამომდინარეობს ამ პირობებიდან?

ა) ანა ზაფხულში ზღვაზე დაისვენებს;

ბ) ანა ზაფხულში მთაში დაისვენებს;

გ) ანა ზაფხულში მთაში არ დაისვენებს;

დ) ანა ზაფხულში ზღვაზე არ დაისვენებს.

(1) **16.** რიცხვები x , $2x$, y , $7\frac{7}{10}$ ზრდის მიხედვითაა დალაგებული. განსხვავება ყოველ ორ მეზობელ რიცხვს შორის 2-ზე ნაკლებია. ჩამოთვლილთაგან რომლის ტოლი შეიძლება იყოს y ?

ა) 5,5-ის;

ბ) 5,7-ის;

გ) 5,8-ის;

დ) 6-ის.

(1) 17. მართკუთხა პარალელებიპედი, რომლის ფუძის ფართობია 20 სმ^2 , ხოლო ერთ-ერთი გვერდითი წახნაგისა – 12 სმ^2 , დაყოფილია ტოლ კუბებად, რომელთა წიბოს სიგრძე 2 სმ -ის ტოლია. რამდენ კუბადაა დაყოფილი მოცემული მართკუთხა პარალელებიპედი?

- ა) 12
- ბ) 15
- გ) 18
- დ) 20

(1) **18.** თუ მოცემული სამნიშნა რიცხვის ჩანაწერში ბოლო ციფრს წავშლით, მაშინ მიღებული ორნიშნა რიცხვი 715-ით ნაკლები იქნება მოცემულ სამნიშნა რიცხვზე. რის ტოლია მოცემული სამნიშნა რიცხვის ციფრთა ჯამი?






ა) 16-ის;

ბ) 18-ის;

გ) 20-ის;

დ) 22-ის.

(1) 19. ცარიელ ჭურჭელს, რომელსაც ნახაზზე მოცემული ფიგურის ფორმა აქვს, წყლით ავსებენ. ჭურჭელში დროის ტოლ შუალედებში ერთი და იმავე რაოდენობის წყალი ჩაედინება. ქვემოთ მოცემული დიაგრამებიდან ერთ-ერთზე წარმოდგენილია, თუ როგორ იცვლებოდა ამ ჭურჭელში წყლის h დონე t დროის მიხედვით. რომელია ეს დიაგრამა?



მონაცემთა საკმარისობა

(1) 20. x და y – რიცხვებია.

მოცემულია ორი პირობა:

I. $3x < 3y - 2$

II. $5x < 5y + 2$

იმის გასარკვევად, თუ x და y რიცხვებიდან რომელია მეტი:

ა) I პირობა საკმარისია, II კი – არა;

ბ) II პირობა საკმარისია, I კი – არა;

გ) I და II პირობა ერთად საკმარისია, ცალ-ცალკე არც ერთი არ არის საკმარისი;

დ) საკმარისია ცალ-ცალკე როგორც I, ასევე, II პირობა;

ე) მოცემული პირობები ერთად აღებულიც კი არ არის საკმარისი.

(1) **21.** მოცემულია ორი პირამიდა და მათ შესახებ ორი პირობა:

I. ორივე პირამიდის წვეროების რაოდენობათა ჯამი 24-ის ტოლია.

II. პირველი პირამიდის წახნაგების რაოდენობა 4-ით მეტია მეორე პირამიდის წახნაგების რაოდენობაზე.

იმისათვის, რომ გავარკვიოთ, რამდენით მეტია პირველი პირამიდის წიბოების რაოდენობა მეორე პირამიდის წიბოების რაოდენობაზე:

ა) I პირობა საკმარისია, II კი – არა;

ბ) II პირობა საკმარისია, I კი – არა;

გ) I და II პირობა ერთად საკმარისია, ცალ-ცალკე არც ერთი არ არის საკმარისი;

დ) საკმარისია ცალ-ცალკე როგორც I, ასევე, II პირობა;

ე) მოცემული პირობები ერთად აღებულიც კი არ არის საკმარისი.

(1) **22.** წიგნის პირველი, მეორე, მესამე და ასე შემდეგ გვერდები დანომრილია, შესაბამისად, ნატურალური რიცხვებით: 1, 2, 3,

მოცემულია ორი პირობა:

I. წიგნის ყველა გვერდის დასანომრად საჭირო ციფრების საერთო რაოდენობა 192-ის ტოლია.

II. წიგნის ბოლო ორი გვერდის დასანომრად საჭირო ციფრების საერთო რაოდენობა 5-ის ტოლია.

იმის გასარკვევად, თუ რამდენგვერდიანია წიგნი:

ა) I პირობა საკმარისია, II კი – არა;

ბ) II პირობა საკმარისია, I კი – არა;

გ) I და II პირობა ერთად საკმარისია, ცალ-ცალკე არც ერთი არ არის საკმარისი;

დ) საკმარისია ცალ-ცალკე როგორც I, ასევე, II პირობა;

ე) მოცემული პირობები ერთად აღებულიც კი არ არის საკმარისი.

(1) **23.** მართკუთხა პარალელებიპედის ფორმის აუზის სიღრმე 2 მ 40 სმ-ის ტოლია. აუზის წყლით შევსება ორი მილითაა შესაძლებელი. პირველი მილით აუზში ყოველ საათში ერთი და იმავე რაოდენობის წყალი ჩაედინება, ასევე, მეორე მილითაც აუზში ყოველ საათში ერთი და იმავე რაოდენობის წყალი ჩაედინება.

მოცემულია ორი პირობა:

I. მხოლოდ პირველი მილის ერთი საათით გახსნის შემთხვევაში აუზში წყლის დონე 30 სმ-ით უფრო მეტი იქნება, ვიდრე მხოლოდ მეორე მილის იმავე დროით გახსნის შემთხვევაში.

II. ცარიელ აუზში მხოლოდ პირველი მილის ერთი საათით გახსნის შემთხვევაში წყლის დონე 2-ჯერ უფრო მეტი იქნება, ვიდრე მხოლოდ მეორე მილის იმავე დროით გახსნის შემთხვევაში.

იმის გასარკვევად, თუ რამდენი საათია საჭირო ცარიელი აუზის ასავსებად ორივე მილის გახსნის შემთხვევაში:

ა) I პირობა საკმარისია, II კი – არა;

ბ) II პირობა საკმარისია, I კი – არა;

გ) I და II პირობა ერთად საკმარისია, ცალ-ცალკე არც ერთი არ არის საკმარისი;

დ) საკმარისია ცალ-ცალკე როგორც I, ასევე, II პირობა;

ე) მოცემული პირობები ერთად აღებულიც კი არ არის საკმარისი.

(1) **24.** ანამ მაგიდაზე დაწყობილი ფურცლებიდან ზოგიერთი დაჭრა სამად, დანარჩენი – ორად.

მოცემულია ორი პირობა:

I. ანამ ფურცლების დაჭრის შედეგად სულ 11 ნაჭერი მიიღო.

II. ანას მიერ სამად დაჭრილი ფურცლების რაოდენობა კენტია.

იმის გასარკვევად, თუ რამდენი ფურცელი დაჭრა ანამ ორად:

ა) I პირობა საკმარისია, II კი – არა;

ბ) II პირობა საკმარისია, I კი – არა;

გ) I და II პირობა ერთად საკმარისია, ცალ-ცალკე არც ერთი არ არის საკმარისი;


დ) საკმარისია ცალ-ცალკე როგორც I, ასევე, II პირობა;

ე) მოცემული პირობები ერთად აღებულიც კი არ არის საკმარისი.

(3) **25.** A პუნქტიდან გამოსულმა მოტოციკლისტმა B პუნქტში ჩასვლა C პუნქტის გავლით გადაწყვიტა. თუ მოტოციკლისტი შეისვენებს, როცა მას C პუნქტში მისვლამდე 25 კმ ექნება დარჩენილი, მაშინ მას გავლილი ექნება გასავლელთან შედარებით 2-ჯერ ნაკლები მანძილი, ხოლო თუ შეისვენებს C პუნქტის გავლიდან 25 კმ-ის შემდეგ, მაშინ მას გასავლელი ექნება გავლილთან შედარებით 3-ჯერ ნაკლები მანძილი. სულ რა მანძილი უნდა გაიაროს მოტოციკლისტმა B პუნქტში ჩასასვლელად?

პასუხი დაასაბუთეთ.

(3) 26. ტოლუჯრედებიან ბადეზე, რომლის თითოეული უჯრედი კვადრატია, მოცემულია ABC სამკუთხედი და $ACDE$ ოთხკუთხედი, რომელთა წვეროები ბადის კვანძებს ემთხვევა (იხ. ნახაზი). რამდენჯერ მეტია $ACDE$ ოთხკუთხედის ფართობი ABC სამკუთხედის ფართობზე?



პასუხი დაასაბუთეთ.

(3) **27.** ოჯახი შედგება დედ-მამისა და რამდენიმე შვილისგან. ოჯახის წევრთა საშუალო ასაკი 18 წელია. მამის გარეშე ოჯახის დანარჩენ წევრთა საშუალო ასაკი 14 წელია, ხოლო დედის გარეშე – 15. რამდენი წლისაა დედა, თუ მამა 38 წლისაა?

პასუხი დაასაბუთეთ.

(3) **28.** სადამოს 20 საათზე ოთახში აანთეს ორი ტოლი სიგრძის, მაგრამ განსხვავებული სისქის სანთელი. პირველი სანთელი თანაბრად იწვის და ბოლომდე დასაწვავად 4 საათი სჭირდება. მეორე სანთელიც თანაბრად იწვის, თუმცა მას ბოლომდე დასაწვავად 3 საათი სჭირდება. ორივე სანთელი ერთდროულად ჩააქრეს. რომელ საათზე ჩააქრეს სანთლები, თუ ჩაქრობის შემდეგ პირველი სანთლის დარჩენილი ნაწილის სიგრძე 2-ჯერ აღემატებოდა მეორე სანთლის დარჩენილი ნაწილის სიგრძეს?

პასუხი დაასაბუთეთ.

(3) 29. მეექვსეკლასელ მოსწავლეებს შემდეგი სამუშაო შესთავაზეს:

1) გამოთვალეთ: I. $7,21 \cdot 3$ II. $5,31 \cdot 4$
III. $11011 : 11$ IV. $3208 : 8$

2) გამოთვალეთ: $2\frac{1}{3} \cdot 3\frac{4}{7} + 2\frac{1}{3} \cdot 5\frac{3}{7}$

3) სამი ყუთიდან პირველში 3 კგ-ით ნაკლები ორცხობილაა, ვიდრე – მეორეში და 5 კგ-ით ნაკლები, ვიდრე – მესამეში, ხოლო სამივეში ერთად სულ 44 კგ ორცხობილაა. რამდენი კილოგრამი ორცხობილაა მესამე ყუთში?

4) პირველი მართკუთხედის სიგრძეა 150 სმ, სიგანე – 18 სმ, ხოლო მეორე მართკუთხედის სიგრძეა – 50 სმ, სიგანე – 36 სმ. რამდენჯერ მეტია პირველი მართკუთხედის ფართობი მეორე მართკუთხედის ფართობზე?

5) სასტუმროში მცხოვრები 243 ტურისტიდან თითოეულს შეუძლია საუბარი ინგლისურად ან გერმანულად. ინგლისურად საუბარი შეუძლია 139 ტურისტს, ხოლო გერმანულად საუბარი – 153 ტურისტს. სასტუმროში მცხოვრებ რამდენ ტურისტს შეუძლია საუბარი როგორც ინგლისურად, ასევე გერმანულად?

მომდევნო გვერდზე მოცემულია ერთ-ერთი მოსწავლის ნამუშევარი:

1) I. $7,21 \cdot 3 = 21,63$ II. $5,31 \cdot 4 = 20,124$

III. $11011 : 11 = 101$ IV. $3208 : 8 = 401$

2) $2\frac{1}{3} \cdot 3\frac{4}{7} + 2\frac{1}{3} \cdot 5\frac{3}{7} = 2\frac{1}{3} \cdot 9 = 18 + 3 = 21$

3) $44 - 3 - 5 = 36$, $36 : 3 = 12$, მესამე ყუთშია $12 + 3 = 15$ (კგ).

4) $150 : 50 = 3$ $36 : 18 = 2$ პირველის ფართობი მეტია $3 \cdot 2 = 6$ -ჯერ.

5) $243 - 139 = 114$, ორივე ენაზე საუბრობს $153 - 114 = 39$ ტურისტი.

- მიუთითეთ მოსწავლის მიერ დაშვებული თითოეული შეცდომა და ჩაწერეთ შესწორებული სახით.

აკადემიური უნარები

წაკითხულის გააზრება

ყურადღებით წაკითხეთ და გაიაზრეთ ტექსტი. თითოეული შეკითხვის სავარაუდო პასუხებიდან აირჩიეთ ის ვარიანტი, რომელიც მართებულია მოცემული ტექსტის მიხედვით.

ამა თუ იმ შეკითხვის გაცნობის შემდეგ მასზე პასუხის გასაცემად შესაძლებელია დაგჭირდეთ ტექსტთან დაბრუნება, შესაბამისი მონაკვეთის ხელახლა წაკითხვა და კვლავ შეკითხვაზე გადასვლა. ამას გაგიადვილებთ როგორც ტექსტის, ასევე, თითოეული შეკითხვის ბოლოს მოცემულ სათანადო აღნიშვნებზე „დაწკაპუნება“.

მე-19 საუკუნეში ექიმებმა ინდივიდუალური შემთხვევების შესწავლისას აღმოაჩინეს, რომ ზოგიერთ ბავშვს ასოების ამოცნობა უჭირდა. ამ ფენომენს „სიტყვის სიბრმავე“ უწოდეს. ერთ-ერთი ბრიტანელი ექიმის ჩანაწერში ვკითხულობთ: „მამამ მომიყვანა 10 წლის ბიჭი, რათა გამეგო, რატომ ჰქონდა მას სირთულეები სწავლისას. ბიჭს აშკარად ნათელი გონება ჰქონდა... გაირკვა, რომ მას უჭირდა კითხვა და ამის მიზეზი იყო არა მხედველობის დაქვეითება, არამედ სიტყვების დამახსოვრების თანდაყოლილი დეფიციტი“. შემდგომში დისლექსიის განმარტებაც ამ მოსაზრებას დაეყრდნო - დისლექსია განვითარების დარღვევაა, რომელიც გულისხმობს კითხვისა და წერის სირთულეებს და ეს სირთულეები ვერ აიხსნება ინტელექტუალური შესაძლებლობების დეფიციტით ან სმენისა თუ მხედველობის დაქვეითებით. დისლექსიის მიზეზი არ არის მშობლის უყურადღებობა, არც ეკრანთან დიდი დროის გატარება, ის თავის ტვინის არასრულყოფილი ფუნქციონირებით აიხსნება, რაც სმენითი თუ ვიზუალური ინფორმაციის გადამუშავების სირთულეებს იწვევს. ხშირად, კლასში, სადაც 20 ბავშვი სწავლობს, ერთ ან ორ ბავშვს მაინც აქვს მსგავსი სირთულეები.

ზოგიერთ შემთხვევაში დისლექსიის ნიშნები ადრეულ ბავშვობაში იჩენს თავს. მაგალითად, დისლექსიის მქონე ბავშვებს შეიძლება სხვისი ნათქვამის გაგების პრობლემა ჰქონდეთ ან გვიან იწყებდნენ მეტყველებას. ასევე, შეიძლება უჭირდეთ სივრცეში ორიენტაცია, ძნელად იმახსოვრებდნენ საგნების დასახელებებს და ა. შ. ხშირად ეს სიგნალები შეუმჩნეველი რჩება, რადგან ეს ბავშვები თითქოს არაფრით გამოირჩევიან თანატოლებისგან. სკოლაში სწავლის დაწყებასთან ერთად კი აღმოჩნდება, რომ, მცდელობის მიუხედავად, ისინი თანატოლებივით ვერ კითხულობენ.

შეკითხვებზე გადასვლა: [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#)

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#)

მშობლები და მასწავლებლები იმედგაცრუებულები არიან, ხშირად ისმის კომენტარები: „ზარმაცია“, „შეძლებდა, რომ ინდომებდეს“... თავად ბავშვი კი ფიქრობს, რომ: „არ შეუძლია“, „არ არის საკმარისად კარგი“... მას უყალიბდება უარყოფითი დამოკიდებულება სკოლისა და, ზოგადად, სწავლის მიმართ. არაერთი კვლევა ადასტურებს, რომ დისლექსიის მქონე ბავშვები მასწავლებლებისა თუ მშობლების ყურადღების ცენტრში არა კითხვის, არამედ ქცევის სირთულეებისა და სწავლის მოტივაციის დეფიციტის გამო ექცევიან.

დისლექსია ქრონიკული მდგომარეობაა და ასაკის მატებასთან ერთად არ ქრება. თუმცა, თუკი ეს ბავშვები მიიღებენ დროულ და ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ დახმარებას, კითხვის უნარიც უმჯობესდება და შესაძლებელია იმგვარი გრძელვადიანი შედეგების თავიდან აცილება, როგორებიცაა: საკუთარი თავით უკმაყოფილება, უპერსპექტივობა, მეგობრების შექმნისა და თანატოლებთან ურთიერთობის სირთულეები.

შეკითხვებზე გადასვლა: [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#)

(1) **30.** რომელი მოსაზრების არგუმენტად გამოგვადგება ბრიტანელი ექიმის პირველ აბზაცში მოყვანილი ჩანაწერი?

ა) დისლექსიის ფენომენი აღმოაჩინეს მე-19 საუკუნეში და მას „სიტყვის სიბრმავე“ უწოდეს;

ბ) ექიმებმა, რომლებმაც დისლექსიის ფენომენს ყურადღება მიაქციეს, ჯერ კიდევ არ იცოდნენ, რომ ის თავის ტვინის არასრულყოფილი ფუნქციონირებით აიხსნება;

გ) დისლექსიის პირველმა მკვლევრებმა უკვე იცოდნენ, რომ კითხვის უნარის სირთულე ინტელექტის დეფიციტს არ უკავშირდება;

დ) დისლექსიას მე-19 საუკუნეში „სიტყვის სიბრმავე“ უწოდეს, რადგან მაშინ ამ ფენომენს მხედველობის დაქვეითებას უკავშირებდნენ.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

(1) **31.** ჩამოთვლილთაგან რომელია მართებული?

- ა) შეუძლებელია დისლექსიის აღმოჩენა სკოლის ასაკამდე, რადგან დისლექსიის მქონე ბავშვები არაფრით გამოირჩევიან თანატოლებისგან;
- ბ) დისლექსიის მქონე ბავშვები ვერ აღწევენ აკადემიურ წარმატებას, რადგან მათ სწავლის დაბალი მოტივაცია აქვთ;
- გ) დისლექსიის მქონე ბავშვების ქცევის პრობლემები ადვილად შესამჩნევია მასწავლებლებისთვის, რაც აადვილებს დისლექსიის დროულ აღმოჩენას;
- დ) დისლექსიის მქონე ბავშვები სკოლაში შესვლისთანავე აწყდებიან სირთულეებს, რაც მათ საკუთარი შესაძლებლობების მიმართ ეჭვს უჩენს.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

(1) **32.** დისლექსიის მქონე ბავშვები ვერ იღებენ შესაბამის და დროულ მხარდაჭერას, რადგან:

- ა) ეს ბავშვები არასაკმარის ინტერესს ამჟღავნებენ სწავლის მიმართ და ქცევის პრობლემები აქვთ;
- ბ) ეს ბავშვები ვერ იჩენენ მეგობრებს და აქვთ თანატოლებთან ურთიერთობის სირთულეები;
- გ) მშობლებსა და მასწავლებლებს არასწორი წარმოდგენა აქვთ მათი სწავლის სირთულეების მიზეზთა შესახებ;
- დ) მშობლებსა და მასწავლებლებს არ აქვთ ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული დახმარების გაწევის გამოცდილება.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

(1) **33.** რომელ შეკითხვას ვერ გავცემთ პასუხს ტექსტზე დაყრდნობით?

ა) რა არის დისლექსიის მიზეზი?

ბ) დაახლოებით რა სიხშირით გვხვდება დისლექსია?

გ) კონკრეტულად რომელი სტრატეგიებით დავეხმარებით დისლექსიის მქონე ბავშვს?

დ) შესაძლებელია დისლექსიისთვის დამახასიათებელი კითხვის პრობლემების მთლიანად ამოწურვა?

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

(1) **34.** დისლექსიის დროული აღმოჩენა და შესაბამისი დახმარება მნიშვნელოვანია:

- ა) ბავშვისთვის კითხვის პრობლემის თავიდან ასაცილებლად და, შესაბამისად, სიზარმაცის პრევენციისთვის;
- ბ) ბავშვის შესაძლებლობების შესახებ მშობლებისა და მასწავლებლების ადეკვატური შეხედულებების ჩამოსაყალიბებლად;
- გ) ბავშვის სამომავლო განვითარების შესახებ მშობლებისა და მასწავლებლების იმედგაცრუების თავიდან ასარიდებლად;
- დ) ბავშვისთვის კითხვის პრობლემის შესამსუბუქებლად და თანმხლები ქცევისა თუ ემოციური სირთულეების თავიდან ასარიდებლად.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

(9) 35. ანალიტიკური წერა

გაეცანით დიალოგებს:

დედამ მეექვსეკლასელი შვილი ექიმთან კონსულტაციაზე მიიყვანა:

ექიმი: აბა, დაჯექი ახლა კომფორტულად და მითხარი, რა გაწუხებს...

ბავშვი: მე

დედა: ჩვენ დილას წავიქეცი და ფეხი ვიტკინეთ.

ექიმი: აბა, მაჩვენე, სად გტკივა.

დედა: აი, ზუსტად მუხლთან; უკვე შეუსივდა კიდევ.

მასწავლებელი ხვდება მეთორმეტეკლასელის მშობელს სკოლის დერეფანში:

მასწავლებელი: როგორ ხართ, რას აპირებს ირაკლი, სად აბარებთ?

მშობელი: სამედიცინოზე ვაბარებთ და ძალიან ვვლავთ.

მასწავლებელი: ექვი არ მეპარება, წარმატებით ჩააბარებთ გამოცდებს...

ამონარიდი ერთ-ერთი ვებგვერდიდან:

„...შვილების უკეთესი მომავლის უზრუნველყოფისა თუ მათი განვითარების მოტივით ზოგჯერ მშობლებს ურჩევნიათ, პასუხისმგებლობა თავად აიღონ. შვილები კი გამოწვევების წინაშე განიარაღებულნი რჩებიან.“

გაიაზრეთ წარმოდგენილი ნიმუშები და იმსჯელეთ:

- რა პრობლემა იკვეთება მოცემულ საილუსტრაციო მასალაში?
- რა გამოწვევების წინაშე აყენებს საზოგადოებას ეს პრობლემა?
- რა შეიძლება დავსახოთ პრობლემის გადაჭრის გზად? განაზოგადეთ სათქმელი.

მსჯელობის გასამყარებლად მოიყვანეთ არგუმენტები და შესაბამისი მაგალითები. თხზულება უნდა შეიცავდეს, სულ მცირე, 120 სიტყვას.